ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 46

ქალაქი ქუთაისი 10 დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 2^2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 2025 წლის 10 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-5 სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **იოსებ კუჭავას** გამოყვანის, ამ კომისიაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების ხელახლა წარდგენისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **იოსებ კუჭავას** წარდგენის გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №15 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **საფინანსო–საბიუჯეტო კომისია** შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **ჩეჩელაშვილი ბესიკი,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
2. **ნერგაძე სანდრო,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 46
10 12 2025 წ.

3. **ჩიხლაძე მანანა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

4. **ჭიღვარია გიორგი,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

5. **თამაზაშვილი ალეკო,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

6. **კოპალეიშვილი ამირანი,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

7. **ნიჟარაძე მარეხი,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

8. **გიორგაძე აკაკი,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ მიერ;

9. **კუჭავა იოსები,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ;

10. **არჩაია ელეონორა,** რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

11. **მიქაუტაძე ალექსანდრე,** რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია